საექსპერტო დასკვნა

მისამართზე: ქ. თბილისი, ქუჩა კაირო ქუჩა №13 (საკ.კოდ: 01.19.34.002.003) ასაშენებელი სასაწყობო შენობა-ნაგებობის "საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის დადგენილება №41"-ის მიხედვით "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესებთან" შესაბამისობის ანალიზი.

არქიტექტორ-ექსპერტი:
გელა მაჭარაშვილი



5 ივლისი 2020 წ.

საექსპერტო დასკვნა

მისამართზე: ქ. თბილისი, ქუჩა კაირო ქუჩა №13 (საკ.კოდ: 01.19.34.002.003) ასაშენებელი სასაწყობო შენობა-ნაგებობის "საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის დადგენილება №41"-ის მიხედვით "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესებთან" შესაბამისობის საექსპერტო დასკვნა.

პროექტის ავტორის შპს" MT Studio-ს, დირექტორის რამაზ ხვედელიძის, თხოვნით ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა წარმოდგენილი: საბურავების შესანახი სასაწყობე შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების არქიტექტურული პროექტი.

შემოწმების მიზანია:

დადგინდეს მისამართზე: ქ. თბილისი, ქუჩა კაირო ქუჩა №13 (საკ.კოდ: 01.19.34.002.003) ასაშენებელი სასაწყობო შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების კორექტირებული პროექტის შესაბამისობა "საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის დადგენილება №41"- თან.

საექსპერტოდ, პროექტის ავტორის მიერ წარმოდგენილია შემდეგი დოკუმენტაცია:

1. პირველი სართულის გეგმა ±0.00 ნიშნულზე
2. სახურავის გეგმა
3. კროკები
4. ჭრილი 1-1
5. ჭრილი 2-2
6. ფასადი 1-11 ღერძებს შორის
7. ფასადი 11-1 ღერძებს შორის
8. ფასადი ა-გ ღერძებს შორის
9. ფასადი გ-ა ღერძებს შორის
10. სიმაღლის სქემა
11. ფოტომონტაჟი
12. ფოტოვიზუალიზაციები

პროექტის შინაარსობრივი აღწერა.

არქიტექტურული პროექტის მიხედვით, საპროექტო საწყობი წარმოადგენს ერთსართულიან სწორკუთხა შენობას. მოშენების ფართობით 1024,8 კვ.მ, რომელიც განთავსებულია ±0,00 ნიშნულზე. შენობაში ±0,00 ნიშნულზე განთავსებულია: საბურავების შესანახი სივრცე, სანკვანძები (მათ შორის ერთი შ.შ.მ. პირებისთვის), საშხაპეები და გასახდელი. შენობაში მოხვედრა შესაძლებელია ჩრდილოეთის მხრიდან. შენობაში გათვალისწინებულია სახანძრო

უსაფრთხოების სისტემები. რადგან საბურავების შესანახი სივრცე აღემატება 600.00 კვ.მ.-ს აუცილებელია შენობა აღიჭურვოს ავტოსაშხეფი სისტემით. შენობაში ასევე დაყენებულია (საბურავების თაროების ზემოთ) კვამლის ავტომატური აღმომჩენები. გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრები.

საწყობის შენობა შესრულებულია ლითონის კარკასის გამოყენებით, შენობის კედლები: ქვედა ნაწილში- ბეტონის ბლოკის (ლენტურ საძირკველზე) +0,00 მ ნიშნულამდე, ზედა ნაწილში კი ლითონის კონსტრუქციაზე მოწყობილი უწვადი ქვა ბამბის სენდვიჩ-პანელით. სახელოსნოს სახურავი ორქანობიანია და გადახურულია არაწვადი ქვა ბამბის სენდვიჩ-პანელებით. ტიხრები შესრულებულია ბეტონის ბლოკის და თაბაშირმუყაოს მასალით. პირველი სართულის იატაკი არის ბეტონის (მოპრიალებული).

შენობის ექსტერიერზე გამოყენებულია ფანჯრები, რომლებიც დამზადებულია თეთრი ალუმინის მეტალოპლასტმასისგან.. ფასადის ფერი RAL-9003. სახურავის თუნუქის ფურცლები RAL-5005

საექსპერტო დასკვნის შემადგენლობა

1. დაკავებულობის დატვირთვების შეფასება.
2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება.
3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება.
4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან შეფასება.
5. გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.
6. მისაწვდომობის შეფასება.
7. გარე კედლის ღიობებისადმი მოთხოვნების შეფასება.
8. სახურავის ანაწყობების შეფასება
9. ხანძრისგან დაცვის სისტემების შეფასება.
10. წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება

1. დაკავებულობის დატვირთვები

სასაწყობო ჯგუფს (სწ-1) გაყოფილია 46.5

2. კონსტრუქციის ტიპი

2.1 შენობა-ნაგებობა კონსტრუქცია ცხრილი 601-ის (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებოსათვის) მიხედვით, წარმოადგენს II-B ტიპს.

3. სიმაღლის და ფართობის შეფასება.

3.1 კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503-ე ცხრილის (შენობის დასაშვები სიმაღლე და ფართობი) მიხედვით,სართულიანობა შეზღუდულია 3 სართულით, სიმაღლე შეზღუდულია 16.8 მეტრით, ხოლო ფართობი 1630 მ2 სასაწყობო ჯგუფისთვის.

3.2 წარმოდგენილი პროექტის მიხედვით საპროექტო შენობის სართულიანობა შეადგენს: 1 სართული სასაწყობო ჯგუფისთვის. შენობის წარმოდგენილი სიმაღლე შეადგენს 9.55 მეტრს. ფართი სასაწყობო ჯგუფისთვის შეადგენს 909.5 კვ.მ. .წარმოდგენილი პროექტი ყველა პარამეტრით აკმაყოფილებს 503-ე ცხრილის (შენობის დასაშვები სიმაღლე და ფართობი) პარამეტრებს.

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

4.1 გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი და შენობიდან გამოსასვლელი) განსაზღვრა განხორციელდა შენობის სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის და გასასვლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად. წესების მე-10 თავის 1004 ქვეთავის, 1004.1.2 ცხრილის საფუძველზე განსაზღვრული დაკავებულობების დატვირთვის გამოთვლის და სართულზე მათი დაჯამების შემდეგ დადგინდა, რომ შენობის სართულზე დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 20 დამკავებელს. შესაბამისად შენობას ესაჭიროება 1021 ქვეთავის მიხედვით ერთი გასასვლელების მოწყობა. თუმცა რადგან შენობა დიდია და არ შეიძლება მაქსიმალური შავალი მანძილი აღემატებოდეს 30.0 მეტრს, შენობაში გათვალისწინებულია 2 გასასვლელი. გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 30 მეტრს.

5. გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიონობის შეფასება.

5.3 რადგან შენობა ერთსართულიანია, შესაბამისად მას არ გააჩნია კიბეები და ასევე დერეფნები. შენობაში გათვალისწინებულია 2 შიგა გასასვლელი, რომელიც პირდაპირ მიწის დონეზე მიემართება ნაკვეთის ეზოში.

გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია 1008 ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს ამ ქვეთავის მოთხოვნებს. გზა-კარების მინიმალური საიგანე განსაზღვრულია 1008.1.1 ქვეთავის და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 1005.3.2 ქვეთავში განსაზღვრული დასაშვებ მინიმუმზე (0.82) მეტი სიგანის გზაკარები. (1.04 მ)

6. მისაწვდომობის შეფასება.

6.1 მე-11 თავის მიხედვით პროექტის გეგმებზე არის მითითებული მისაწვდომობის სვლაგეზი და მე-11 თავით განსაზღვრული მისაწვდომი შესასვლელი, რომელიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების პირების (შ.შ.მ.) მისაწვდომობას შენობის ნებისმიერ წერტილში, რადგან შენობა თავისუფალია ყველანაირი დონეთა სხვაობებიდან.

7. გარე კედლის ღიობებისადმი შეფასება.

7.1 საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი, კერძოდ გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და ღიობების დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია 705 ქვეთავის მიხედვით და შეესაბამება 705.8 ცხრილს.მოცემული დოკუმენტაციის მიხედვით პროექტში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი მერყეობს 0.67-76.48 მ-მდე 11-1 ფასადზე გათვალისწინებულია დაუცველი, საშხეპებით ღიობების მოწყობა, რომელთა საერთო ფართი შეადგენს აღნიშნული ფასადის 42%-ს.. –დანარჩენი ფასადები არის ყრუ და ღიობების მოწყობა დაგეგმილი არ არის. შენობის დარცენილი სამივე ფასადის გარე კედლები დაცულია ორსაათიანი ხანძარმედეგობით.

8. სახურავის ანაწყობების შეფასება.

8.1 სახურავის კონსტრქუვია და არაძირითადი ნაწილები განსაზღვრულია 601 და 1505.1 ცხრილების შესაბამისად.სახურავის ანალიზის შემდეგ დადგინდა, რომ სახურავი მიეკუთვნება B კლასის სახურავის ტიპს. ამ კლასის სახურავებს, მიეკუთვნება ის ანაწყობები, რომელთა რესტირების დროს უძლებს ზომიერ ცეცხლის ზემოქმედებას. სახურავს გააჩნია წყალმიმღები ღარები და მილები.

9. ხანძრისგან დაცვის სისტემების შეფასება.

10.1 სახანძრო დაცვის სისტემების მხრივ საპროქტო შენობა აღჭურვილია თავი 9-ში მოცემული ყველა აუვილებელი სისტემით, შენობის კლასიდან, სიმაღლიდან და დაკავებულობებიდან გამომდინარე.

903.2.9.2 საბურავების სათავსი. შენობები და ნაგებობები, სადაც საბურავების სათავსის ფართობი 600 $მ_2$-ს აღემატება, მთლიანად უნდა აღიჭურვოს 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული ავტოსაშხეფი სისტემით.

907.2.15 თაროებზე დაწყობილი მასალების სათავსი. თაროებზე დაწყობილი მასალების შესანახად განკუთვნილ ზონებში უნდა დააყენონ ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი სისტემა.

პროექტში გათვალისწინებულია:
- ავტოსაშხეფი სისტემა
- ხელის ცეცხლმაქრები
- ცეცხლაღმოჩენის შისტემა

10. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.

10.1 წყალსადენი სისტემები და ფიქსირებული მოწყობულობები დადგენილია დაკავებულობის ტიპების მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს (ცხრილი 1602.1) ტუალეტები განთავსებულია ყველა სართულზე და შესაბამისად აკმაყოფილებს ტუალეტების სავალი მანძილის მოთხოვნებს.

დასკვნა

ჩატარებული საექსპერტო ანალიზით ერთმნიშვნლოვნად დავადგინე მისამართზე: ქ. თბილისი, ქუჩა კაირო ქუჩა №13 (საკ.კოდ: 01.19.34.002.003) ასაშენებელი სასაწყობო შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების პროექტის შესაბამისობა „ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის დადგენილება №41"-თან შესაბამისობა. ცალკეული შენიშვნები ჩემ მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებულ იქნა და პროექტში შეტანილია შესაბამისი კორექტივები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი ანგარიში შეიძლება საფუძვლად დაედოს აღნიშნული პროექტის შემდგომ წარმოებას.

არქიტექტორ-ექსპერტი:
გელა მაჭარაშვილი



5 ივლისი 2020 წ.

სამუშაო გამოცდილება

Address
მისამართი ქ.თბილისი შარტავას 14ა

Phone
ტელეფონი 551 11 14 12

1980 წელი		
1990 წელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტი. მთავარი არქიტექტორის თანაშემწე	
1991 წელი		
2002 წელი	საჩხერის მუნიციპალიტეტი, მთავარი არქიტექტორი	
2003 წელი	ქ. ბათუმი გორკის ქუჩა№24 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი	
2004 წელი	ზუგდიდი რუსთაველის ქუთაზე სავაჭრო ცენტრი	
2010 წელი		
2012 წელი	ქ. ბათუმი ჯავახიშვილის ქ№84 მრავალბინიანი კომპლექსი.	
2019 წელი	ქ. თბილისი, მრავალბიანის საცხოვრებელი სახლის კორექტირება	ექსპერტიზა

Нагрудный академический знак выдан

ДИПЛОМ

ПВ № 574210

Настоящий диплом выдан Макарашвили Гела Чиаберевичу

в том, что он в 1979 году поступил

в Красноярский политехнический институт

и в 19 году окончил полный курс названного института

по специальности Архитектора

Решением Государственной экзаменационной комиссии от „2" Июля 1984 г.

присвоена квалификация Архитектора урбаниста

Председатель государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П. Красноярск 6 июля 1984 г.

Регистрационный № 573

Московская типография Гознака. 1985.